



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის
თავმჯდომარე

განკარგულება №28/2018

საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით №54 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში გასამართი საქართველოს პარლამენტის 2018 წლის 28 აპრილის შუალედური არჩევნებისათვის საარჩევნო სუბიექტის “ახალი საქართველო - პოლიტიკური პლატფორმა“ და მისი წარმომადგენლების რეგისტრაციის გაუქმების შესახებ

ქ. თბილისი

2018 წლის 30 მარტი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის, „პარტიის/საარჩევნო ბლოკის/ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ საქართველოს პარლამენტის შუალედურ არჩევნებში მონაწილეობისა და წარმომადგენლების დანიშვნის წესის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2013 წლის 4 მარტის №8 დადგენილების პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-2 მუხლის საფუძველზე, ვადგენ:

მუხლი 1. გაუქმდეს საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით №54 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში გასამართი საქართველოს პარლამენტის 2018 წლის 28 აპრილის შუალედური არჩევნებისათვის საარჩევნო რეგისტრაცია საარჩევნო სუბიექტს “ახალი საქართველო - პოლიტიკური პლატფორმა“ და მის წარმომადგენლებს პაატა მანჯგალაძეს და ანა კობახიძეს.

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე

თამარ ჟვანია